ფორმატი A-3

მაღაზიის დენდროლოგიური პროექტი

ქ.თბილისი, ოქროყანა (ს/კ: 01.15.07.013.030.)



2022წ

დამკვეთი:	გიორგი წიკლაური პ.ნ. 01017045962
ფურცელი	01

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა

ფორმატი A-3









მისამართი:	ქ.თბილისი, ოქროჯანა (ს/კ: 01.15.07.013.030.)
	ფურცელი 02

ფორმატი A-3

საპროექტო ტერიტორიის აეროფოტო გადაღება



მისამართი:	ქ.თბილისი, ოჯროყანა (ს/პ: 01.15.07.013.030.)
პროექტი:	მაღაზიის დეტალური გეგმარებითი პროექტი
	ფურცელი 03

ფორმატი A-3

განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, ოქროყანაში (ს/ჯ: 01.15.07.013.030.). გაჯის სტადიაზე გარემოს დაცვლის საქალაქო სამსახურთან შეთანხმებულია 2,3,4,5,6,7 ნარგავების მოჭრა. თუმცა ჯ3 ჯოეფიციენტის (180.4 ჯ3მ) მიხედვით ვრგავთ 7 ხეს რომლესაც წარმოგიდგენთ ალნიშნულ დენდროლოგიურ პროექტში.

მისამართი:	ქ.თბილისი, ოქროყანა (ს/ჯ: 01.15.07.013.030.)
პროექტი:	მაღაზიის დენდროლოგიური პროექტი
	ფურცელი 04



ΔΔΔΔΔΔΔ ΔΔΔΔΔΔΔΔΔ	ΔΔΔΔΔΔΔΔΔ

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი:
გიორგი წიკლაური
პ.ნ. 01017045962

მისამართი:
ქ.თბილისი, ოქროყანა
(ს/კ: 01.15.07.013.030.)

ა-პ კოეფიციენტი: 180.4მ²



ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

ახლად დარგულ ხე-მცენარეების მოვლა ჯატრონობაზე პასუხისმგებლობას იღებს გიორგი წიკლაური პ.ნ. 01017045962

ახლად დარგული ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს.

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობები:



2ც ჰიმალაის კედარი (Cedrus deodora)

5ც ჭადარი (Platanus orientalis)

გამწვანების პროექტის დაწყების თარიღი: .

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: 25/12/2025 .

ჰიმალაის კედარი (Cedrus deodora)



ჭადარი (Platanus orientalis)



ჭადარი (Platanus orientalis)



წერილის ნომერი: **18-01220113377**
თარიღი: **11/01/2022**
პინი: **2200**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01213502119
წერილის თარიღი:	16 დეკემბერი, 2021
განმცხადებელი:	გიორგი წიკლაური
განაცხადის N	AR1861012
მისამართი	ქ.თბილისი, სოფელი ოქროყანა
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.15.07.013.030
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მაღაზია; II კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „გოლდფილდ“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	აცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა მწვანე ნარგავების მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა ტოპო.გეგმა შენობის განთავსების სქემით ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 26^1-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 1ძირი მწვანე ნარგავი დაავადებულია და განკურნებას არ ექვემდებარება, მისი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს მწვანე 1 ძირი ელდარის ფიჭვის (#4-65სმ) ***მოჭრის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.***

ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 1ძირი, არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ან არანაკლებ 3.0 მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა (ნერგის გარეშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი). საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

დასარგავი მცენარის სახეობა (მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა) უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება (6)-ს; მათი (#2, #3, #5, #6, #7) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სიტუაციური გეგმა



შ.პ.ს. "ჯითი სარვეი"

საიდ.კოდი 400224681

ქ.თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქ №4 II სართული,ოფისი №4

მობ: +995 598 30-20-15 +995 599 53-15-15

Info@gtsurvey.ge Gtsurvey@yahoo.com

www.facebook.com/GTSURVAY1

GT SURVEY

ქალაქი თბილისი , სოფელი ოქროყანა-ში
შ.პ.ს „გოლდფილდ"-ის
საკუთრებაში არსებული 451 მ.კვ (ს/კ 01.15.07.013.030)
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

ტოპოგრაფიული რუკა

თარიღი: 17.07.2021



ნაკვეთის ზართობი: 451 მ
სერვიტუტის ზართობი: 000 მ

ტოპოგრაფიული რუკა: გაკეთებულია საქართველოს მუდმივმოქმედი Geo-Cors-ის ჯიპიეს რეფერენსირებულ ქსელზე დაყრდნობით.
სახელმწიფო კოორდინატთა სისტემა: WGS 1984 წლის, UTM პროექცია. სიმაღლური სისტემა: კრასნოვოდსკი 1977 წლის ბალტიის ზღვის ნიმუშლე
ტოპოგრაფიული რუკა მ 1:500 / რელიეფის კვეთა 0.5მ

მიწისქვეშა კომუნიკაციები	პირობითი აღნიშვნები				
კანალიზაცია	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	გეგმურ სიმაღლური წერტილი (რპ)	რკინის ღობე	(ტოპოსაქვეშა ურთიერთობები დაზუსტდა ნაწილობრივ რეზისტორიებულ ბაზაზე დამყარებული მიწისქვეშა კაბელების ხელით ძებნის შედეგად. ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დადგინდა)
დენის კაბელი	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური	
გაზის მილი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი	
წყლის მილი	ფარდული	ძეძლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი	
კანალიზაცია	სერვიტუტი	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი	
	კიბე	ორკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი	
	ფოთლოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური	
	წიწვოვანი ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოპიფსი	ფლატე	
	ხეხილის ხე	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოპიფსი	წყლის კონტური	
	პალმა				

დირექტორი		ბ. ხაჩიძე
გეოდეზისტი კომპ. უზრუნველყოფა		ი.მანჯგალაძე
გეოდეზისტი კომპ. უზრუნველყოფა		ი.მანჯგალაძე
დამკვეთი		

№ 98 8 აგვისტო 2021 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის და ხარისხობრივი შეფასების შესახებ

2021 წლის 8 აგვისტოს მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფ. ოქროყანის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.15.07.013.030), რომლის ფართობია 451.00 მ^2 , ხოლო მესაკუთრე შ.პ.ს „გოლდფილდ“ (საიდენთიფიკაციო ნომერი 404618605), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსული პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

სულ ტერიტორიაზე განლაგებულია 10 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 6 ძირი ხილ-კენკროვანია.

დამკვეთს სურვილი აქვს მოჭრას მიწის ნაკვეთზე არსებული 6 ძირი მწვანე ნარგავი (N2, N3, N4, N5, N6 და N7), რომელთა შორის 5 ძირი ხილ-კენკროვანია (N2, N3, N5, N6 და N7), ხოლო 1 ძირი დაავადებული ფიჭვის ხე (N4 იხ. ლაბორატორიის დასკვნა). დანარჩენ აღწერილ მერქნიან მცენარეებს მესაკუთრე ამ ეტაპზე ადგილზე ტოვებს.

ცხრილში მოცემულია ქალაქ თბილისში, სოფ. ოქროყანის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.15.07.013.030) მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	საპნის ხე- Sapindus	2.1-12	ჯანსაღი	მრავლობითი
2	ქლიავი-Prunus ssp	19	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
3	ლეღვი - Ficus carica	1.1-8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
4	ელდარის ფიჭვი-Pinus eldarica	65	დაავადებული	

5	ტყემალი -Prunus ssp	14.8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
6	ლეღვი- Ficus carica	1.1-20	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
7	ტყემალი-Prunus ssp	14.1	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
8	ტყემალი- Prunus ssp	1.1-12	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
9	იასამანი- Syringa vulgaris	1.1-4	ჯანსაღი	ბუჩქი
10	იასამანი- Syringa vulgaris	1.1-4	ჯანსაღი	ბუჩქი

მწვანე ნარგაობის (მერქნიანი მცენარეების) დასურათება მისი ნომერაციის მიხედვით:

1.საპნის ხე 2. ქლიავი



3.ლეღვი 4. ელდარის ფიჭვი





5.ტყემალი 6. ლეღვი





7.ტყემალი 8. ტყემალი



9. იასამანი 10. იასამანი



მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი: 1 გვ ;

შემსრულებელი : გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 102844

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ქ. თბილისი ვ. გოძიაშვილის ქუჩა №49 +995 32 253 09 68	დამტკიცებულია საიდენტიფიკაციო № F-003-2016-G თარიღი: 15.04.2021 ვერსია № 18	GAC GAC–TL–0230 სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018

გამოცდის ოქმი №5079

რეგისტრაციის № და გაცემის თარიღი	5079	11.08.2021 13:20 სთ.
მასალის/ნიმუშის მიღების თარიღი		09.08.2021 11:21 სთ.
ვის ეკუთვნის მასალა/ნიმუში	ქ. თბილისი. დიღმის მასივი IV-კვარტალი. I-კორპუსი	
რა მასალა/ნიმუშია გადმოგზავნილი	გიორგი კაპანაძე	
მასალა/ნიმუშის რაოდენობა	მცენარე - ფიჭვი	
რა სახითაა მიღებული მასალა/ნიმუში	1 (ერთი)	
ვის ეგზავნება პასუხი	ხელშეკრულება №1401; დაულუქავი	
მიღებულია გამოსაცდელად	გიორგი კაპანაძე	

მიღებულია გამოსაცდელად	გამოცდის შედეგი	გამოცდის მეთოდი
მიკოლოგიური გამოცდა	გამოვლინდა ხმობის გამომწვევი - Diplodia sp.	EPPO, CABI & IPPC-ს დიაგნოსტიკური პროტოკოლები; SOP -266-2016-G - მცენარეული მასალისა და ნიადაგის მიკოლოგიური გამოცდა.

შენიშვნა: ნიმუშის აღების ადგილი თბილისის მუნიციპალიტეტი. ოქროყანის დასახლება. ნაკვეთი ს/კ 01.15.07.013.030

ცხოველთა დაავადებების
დიაგნოსტიკის
დეპარტამენტის უფროსი

/მ. დონდუაშვილი/

სურსათის კვლევის
დეპარტამენტის უფროს

/მ. ღვინჯილია/

მცენარეთა მავნე
ორგანიზმების დიაგნოსტიკის
დეპარტამენტის უფროსი

/ე.გვრიტიშვილი/

ნიმუშების რეგისტრაციის და
სტატისტიკური დამუშავების
განყოფილების უფროსი

/მ.სოსელია/

ფიტოსანიტარული კვლევის ანგარიში

საკვლევი ტერიტორია ქალაქი თბილისი, სოფ. ოქროყანის ტერიტორია
საკადასტრო კოდი: 01.15.07.013.030
ნიმუშის რაოდენობა: 1 ძირი წიწვოვანი ხე - (N4).
სანიმუშო სახეობა: ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica;
ლაბოლატორიული კვლევის განმახორციელებელი:
სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბოლატორია

ჩემი (ექსპერტ გიორგი კაპანაძის) 2021 წლის 8 აგვისტოს N98 დასკვნაზე, მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფ. ოქროყანის ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 01.15.07.013.030), რომელზეც აღებული იქნა ნიმუშები (ტოტი, წიწვი, ქერქი, გირჩი). ლაბორატორიული შემოწმების შედეგად გამოვლინდა 1 ძირი დაავადებული ელდარის ფიჭვი.

წიწვოვან ნარგავზე გამოვლინდა სოკოვანი პათოგენი, ნარგავის მდგომარეობა არის პროგრესირებადი წვერხმელობა, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა გამოიწვევს ნარგავების გახმობას. ამ ეტაპისათვის ნებისმიერი წამლობის მეთოდი უშედეგოა, ვინაიდან ნარგავს წვერის მხრიდან შეენიშნებათ მკვეთრი ფერის ცვლილება (ყავისფრი), რაც გამოწვეულია მავნებელი პარაზიტის მიერ ხის წვეროს წიწვოვანი და მერქნული ნაწილების დაზიანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაავადებული 1 ძირი ელდარის ფიჭვი არ ექვემდებარება განკურნებას.

იხილეთ:

ლაბორატორიული მიკოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა პათოგენური სოკოვანი დაავადება: Diplodia sp . აღნიშნული სოკო წარმოადგენს ხის გახმობის გამომწვევ პათოგენს, დაავადება გამოხატულია ხის ზედა ნაწილში წიწვების შემცირებით და წიწვის ფერის ცვლილებაში. ხის წიწვების გაყავისფერების პროცესი დაწყებულია ხის წვერის ნაწილიდან ქვედა (ფესვის) მიმართულებით. ნარგავი არ ექვემდებარება განკურნებას.

ლაბორატორიის გამოცდის ოქმი

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

ქ. თბილისი გ. გობეჯიშვილის ქუჩა №49
+995 32 253 09 68

აკრედიტებულია
აკრედიტაციის მოწმობა № F-003-2016-C
თარიღი: 15.04.2021
ვერსია № 18

GAC-TL-0230
სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018

გამოცდის ოქმი №5079

რეგისტრაციის № და გაცემის თარიღი	5079	11.08.2021	13:20 სთ.
მასალის/ნიმუშის მიღების თარიღი		09.08.2021	11:21 სთ.
ვის ეკუთვნის მასალა/ნიმუში	ქ. თბილისი, დიღმის მასივი IV-კვარტალი, I-კორპუსი გიორგი კაპანაძე		
რა მასალა/ნიმუშია გადმოგზავნილი	მცენარე - ფოთოლი		
მასალა/ნიმუშის რაოდენობა	1 (ერთი)		
რა სახითაა მიღებული მასალა/ნიმუში	ხელშეკრულება №1401; დალუქული		
ვის ეგზავნება პასუხი	გიორგი კაპანაძე		

მიღებულია გამოსაკვლევად	გამოცდის შედეგი	გამოცდის მეთოდი
მიკოლოგიური გამოცდა	გამოვლინდა ხმობის გამომწვევი Diplodia sp.	EPPO, CABI & IPPC-ს დიაგნოსტიკური პროტოკოლები; SOP -266-2016-C - მცენარეული მასალისა და ნიადაგის მიკოლოგიური გამოცდა.

შენიშვნა: ნიმუშის აღების ადგილი თბილისის მუნიციპალიტეტი, ოქროყანის დასახლება. ნაკვეთი ს/კ 01.15.07.013.030

ცხოველთა დაავადებების
დიაგნოსტიკის
დეპარტამენტის უფროსი

/მ. დონდუაშვილი/

სურსათის კვლევის
დეპარტამენტის უფროსი

/ნ. ღვინჯილია/

მცენარეთა მავნე
ორგანიზმების დიაგნოსტიკის
დეპარტამენტის უფროსი

/ე.ბერიტაშვილი/

ნიმუშების რეგისტრაციისა და
სტატისტიკური დამუშავების
განყოფილების უფროსი

/მ.[illegible]/

Page 1 of 1

დაავადებული ელდარის ფიჭვი (N4)



ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

შემსრულებელი : გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 102844

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49